შაბათი, 1918 წ. იანვარი 6 (19) № 5
ყოველდღიური გაზეთი

შაბათი, 1918 წ. იანვარი 6 (19) № 5
ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოდ გამოგზავნილი მასალა უფასოდ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია ხელნაწერთა მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

**კონტორა**

გაზეთის ფასი ერთის წლით 50 მ. 6 თვით 27 მ. 3 თვით 13 მ. 50 კ. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 3 მან. ცალკე № 20 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით: 15×2—8 მანეთი, 20×2—10 მანეთი, 30×2—15 მანეთი. მახარობლის გამოცვლა ... 75 კაპ. ... 1 მანეთი. ფულები და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1\frac{1}{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

## დღეს:

### ცნობები:

ამიერ-კავკასიის საზღვაო ძალებს რუსის ამირბარი კოლჩაკი უფროსობს.—ლენინის ავტომობილს სროლა აუტეხეს, ლენინი გადარჩა.

ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა გადასწყვიტეს, არჩეული დელეგატები გაგზავნონ დამფუძნებელ კრებაზე სამუშაოდ.—თბილისში გურულთა რაზმი ჩამოვიდა.—მოკავშირეებმა ამიერ კავკასიის კომისარიატს გამოუგზავნეს ნოტა, რომელშიაც მათი საზავო პირობებია აღნიშნული.

### წერილები:

**გრიგოლ ვეშაპელი.** პროგრამა და ტაქტიკა: 2. „საქართველოს დამოუკიდებლობა" და ფედერალიზმი მ. ძ. ზავის საგანი.

**გრიგოლ რობაქიძე.** ქართული ლექსი.

**შალვა დადიანი.** ქუთაისის თეატრის გარშემო.

**ღვთისო ზიგაური.** ხევსურული ლექსები.

**კორესპონდენცია.** ოს-ქისტების დელეგატები ხევში.

ღრმად დამწუხრებულნი ალექსანდრე სტეფანეს ძე ჭრელაშვილი, ეკატერინე თეოდორის ასული და მიხეილ მიხეილის ძე ასათიანები, გიორგი დანიელის ძე და ბარბარე მიხეილის ასული ჭრელაშვილები აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და პატივისმცემელთა, რომ შვიდ იანვარს დიდუბის ქართველების ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ყოფილი საბჭოს მდივნისა და ქ. თ. ხმოსნისა, საზოგადო მოღვაწისა და ნიჭიერ ლიტერატორისა

**სტეფანე თეოდორის ძის**

**ჭრელაშვილის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზედ, პანაშვიდი 12 საათზედ. 2—932—2

ღრმად დამწუხრებულნი უბედურნი მშობლები ივანე ამბაკოს ძე და ნინა ბესარიონის ასული მახარაძე შვილებით უღრმეს მადლობას უცხადებენ ამხანაგებს და ყველა იმ პირთ, რომლებმაც პატივი სცეს მათ უდროოდ დაღუპულ უსაყვარლეს და დაუვიწყარ შვილის მეექვსე კლასის მოწაფის

**მაროს (მარუსიას)**

ხსოვნას და წუხილში სცეს მათ ყუსაშინელეს მწუხარებაში ან თავიანთი მობძანებით, ან წერილებით და დეპეშებით. 1—937—1

ღრმა მწუხარებით გულდათუთქულნი მეუღლე სოფიო ალმასხანის ასული, შვილები: ვასასი (გოგუცა) გიგინეიშვილისა, საშა, ტუფა და ლუბა ჯაყელნი, ძმა გიგო ივანეს ძე ჯაყელი, დები: ელპიტი გოგიბერიძისა, ეკმა შარაშიძისა და მინა ჩხიკვიშვილისა შვილებითურთ, რძლები: ვარდი, ეკატერინე და ბუჯუ ჯაყელებისა შვილებითურთ და სიძე ნიკო ნოსის ძე გიგინეიშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უეცრად გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

**ლეონტი ივანეს ძე ჯაყელი.**

დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 7 იანვარს, საყდრის ტყის ეკლესიაზე. 1—938—1

ეკატერინე გრიგოლის ასული ხოჯაევი, მარიამ ნიკოლოზის ასული დავითაშვილი, გრიგოლი, ვასილი და ალექ ანდრე ნიკოლოზის ძენი ხოჯაევები ოჯახებითურთ და ზაქარია ალექსის ძე დავითაშვილი ჯაგშვებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ პირველის ძვირფას ქმრის, მეორეთა მამის და უკანასკნელისა სიმამრის

**ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის ხოჯაევის**

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ამა წლის იანვრის 3-ს. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ქალაქ გორში (თავად აზნაურთა ქუჩა) მიცვალებულის გამოსვენება იანვრის 7-ს დილის 10 საათზე ოქონის ტაძარში.

(1—935—1)

მიიღება ხელის მოწერა

ეროვნულ-დემოკრატიულ

ყოველ-დღიურ გაზეთ

1918 წ. წელი მთლიანად „საქართველო"-ზე 1918 წ. წელი მთლიანად

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები საქართველოს ყველა ცენტრებში და პროვინციაში.

საგანგებო დეპეშები პეტროგრადიდან, მოსკოვიდან და უცხოეთიდან

| გაზეთის ფასი: | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით | 1 თვით |
|---|---|---|---|---|
| | 50 მან. | 27 მან. | 13 მ. 50 კ. | 4 მ. 50 კ. |

ცალკე ნომერი 20 კაპ.

ერთის თვით გაზეთის დაკვეთა შეიძლება მხოლოთ თბილისში

ფოსტით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ, контора газ. „САКАРТВЕЛО", почт. ящ. 76.

კონტორაში ხელის მოწერა მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთ: 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: სასახლის ქ. № 5, ქართული ქარვასლა. 15—73 ტელეფონი.

**ქართული კლუბი**

ქართული დრამა. წარმოდგენა № 25.

ორშაბათს, 8 იანვარს, 1918 წ.

თბილისის ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**პირველი ცოლის მორჯულება**

5 მოქ. თარგ. კ. მესხისა.

მონაწილეობენ—ქალნი: აბაშიძე ტ., ქიქოძე ა., ვაჭარაშვილი მ., ქიქოძე ა., ვაჟნი: გედევანოვი გ., გვარამძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარხნიშვილი ი., კობახიძე ი., იმედაშვილი ა., ქავაძე ი., ციციშვილი კ.

1—880—1 რეჟ. გ. შალიკაშვილი.

სახალხო განათლების კომისრის ნებართვით. მასწ. კ. ი. ტრიიცკის. ს. ბ. უკრაინცევის და ა. ი. ნაცვლიშვილის მიერ იხსნება

**რეალური სასწავლებელი**

ნ. ი. პიროვანების სახელობაზედ, ორთავე სქესის მოსწავლეთათვის, მთავრობის გიმნაზიების უფლებით. პასკი არ განისაზღვრება. სწავლა დაიწყება თბილისის რეალური სასწავლებლის შენობაში იანვრის 15-ს. (დანამდვილებით სწავლის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. თხოვნები მიიღება ყველა კლასებისთვის, მოსამზადებელ კლასიდან მე-6-მდე. ნახევარ წლის სასწავლო გადასახადი 200 მ. ცნობები მიიღება სასწავლებლის კანცელარიაში 10 საათიდან 12 საათამდე და 4—5 ამდე. 1—439—1

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ყველა კომიტეტებს**

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის საორგანიზაციო სექცია გთხოვთ დაჩქარებით მიაწოდოთ მას თქვენს რაიონში პარტიული ცხოვრების შესახებ შემდეგი ცნობები:

1. როდის დაარსდა პარტიული კომიტეტი და სია კომიტეტის წევრებისა.
2. რამდენი წევრია ჩაწერილი პარტიაში და თუ რეგისტრაცია არ ხდებოდა ვარაუდით რამდენი მიაჩნია კომიტეტს შეგნებულად ეროვ. დემოკრ. პარტიის მომხრედ.
3. რა ბიუჯეტი აქვს კომიტეტს და მომავალი ნავარაუდევი ხარჯთაღრიცხვა.
4. ჰყავს თუ არა კომიტეტს პროპაგანდისტები ადგილობრივ მცხოვრებთაგან და თუ არ ჰყავს, შეუძლიან თუ არა იყოლიოს?
5. საარჩევნო კომპანიის შედეგები.
6. მთავარი კომიტეტის საორგანიზაციო სექცია გთხოვთ დაუყოვნებლივ მიაწოდოთ მას ეს ცნობები, რათა მას შეეძლოს ჰქონდეს მეორე პარტიულ ყრილობას, რომელიც დანიშნულია იანვრის 14-სათვის, წარუდგინოს სრული ანგარიში პარტიულ ორგანიზაციების შესახებ და აგრეთვე შეიმუშაოს მ ამავალისათვის საჭიროელი წესი პარტიულ ორგანიზაციების მოწყობისა.

**მთავარ კომიტეტის საორგანიზაციო სექცია.**

**ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის**

**მეორე ყრილობა**

(კონფერენცია)

მთავარ კომიტეტის დადგენილებით მოწვეულ იქნება 1918 წელს, იანვრის 14.

**ყრილობის წეს-რიგი**

**სატაქტიკო საკითხები:**

ა) პოლიტიკური მომენტი
ბ) საქართველოს ჯარი
გ) საქართველოს ეკლესია
დ) საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობა
ე) საქართველოს ეროვნული საბჭო

**საპროგრამო საკითხები:**

ა) პოლიტიკური საგანი
ბ) აგრარული საგანი

**საორგანიზაციო საკითხები:**

ა) მთავარ კომიტეტის მოხსენება
ბ) პარტიის ორგანიზაციების მდგომარეობა და წესდება
გ) არჩევნები.

კონფერენციის მომწყობი კომისიის დადგენილებით ყრილობაზედ გასაგზავნი წარმომადგენელი უნდა აირჩეს ადგილობრივ ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებაზედ ყოველ ას ნამდვილ წევრზე ერთი. სადაც ას წევრზე ნაკლებია, იქაური ორგანიზაცია არჩევნების მოსახდენად მახლობელ ორგანიზაციას უნდა შეუერთდეს. დელეგატებს მანდატებთან ერთად თან უნდა ჰქონდეთ ადგილობრივ კომიტეტის მიერ დამტკიცებული საარჩევნო ოქმი ამორჩეულთა სარეგისტრაციო სიით ეს ცნობები კონფერენციის სამანდატო კომისიას უნდა გადაეცეს.

**საქ. ერ. დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი.**

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის**

**მთავარი კომიტეტი**

იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართული საადგილმამულო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის. ამ დროს განმგეობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულებათა შეტანა.

**თბილისის სასტუმროებისა, სასადილოებისა**

და სხვათა პატრონთა ყურადღებას ვაქცევთ საზოგადოების გამგეობაში შემოდის მრავალი საჩივარი, რომ ბაზარში არ არის შოვნა პირველ მოთხოვნილებათა სანოვაგისა, როგორც პურისა, ხორცისა და სხვათა. რადგანაც ასეთი მდგომარეობა აუტანელი არის, ამისათვის იძულებულნი იქნებიან, წინადადებას თავისი სურვილისა, დახურონ თავიანთი სადგომები, სასადილოები, რესტორანები და სასტუმროებთან არსებული სამზარეულოები. 1—936—1

# პროგრამა და ტაქტიკა
## საქართველოს „დამოუკიდებლობა“ და ფედერალიზმი

[illegible]

# ზავის საგანი

[illegible]

ლება არ ესმოდეს ტროცკისა და კრილენკოს, მაგრამ ძლიერ კარგად ესმის კლემანსოს და ლლოიდ ჯორჯს.

ათი დღის ვადა, რომელიც შეთანხმების სახელმწიფოების პასუხის მისაღებად იყო დადებული, გავიდა კიდეც და პეტროგრადსა და ბერლინში ალბათ ეცოდინებათ ეს პასუხი. ოფიციალური ინფორმაციის უქონლობის გამო ჩვენს პრესას მხოლოდ შეუმოწმებელი ცნობებით უხდება სარგებლობა. ამ ცნობების მიხედვით შეთანხმების სახელმწიფოებს საყოველთაო ზავის ჩამოსაგდებად შემდეგი პირობები შეუმუშავებიათ. კურლიანდია რუსეთს უნდა დაუბრუნდეს, პოლონეთი და ლიტვა დამოუკიდებელ სახელმწიფოებათ უნდა გამოცხადდეს. უნდა აღსდგეს ბელგიაცა და სერბიაც. მესოპოტამიამ, სირიამ და სომხეთმა ავტონომია უნდა მიიღოს; ავტონომიის სინამდვილის უზრუნველსაყოფად საერთაშორისო კონტროლი უნდა დაწესდეს ოსმალეთში.

უფრო დეტალიური და გარკვეული ცნობების მიღებამდე ძნელია იმის თქმა, თუ რას ნიშნავს შეთანხმების სახელმწიფოების პასუხი: ნაბიჯის გადადგმას შერიგებისაკენ თუ გერმანული პირობების კატეგორიულ უარყოფას. ჯერ კიდევ არაფერი ვიცით მაგალითად იმ მთავარი საკითხის შესახებ რომლის გადაჭრაში დღემდე ყველაზე უფრო შეურიგებელი პოზიციები ეჭირათ მოპირდაპირეებს: არ ვიცით დღესაც მოითხოვს თუ არა საფრანგეთი მთელი ელზას-ლორენის დაბრუნებას? თუ ამ საკითხში კლემანსოს მთავრობაც იმ აზრს ადგია, რასაც ვივიანის, ბრიანის და პენლევეს მთავრობა ადგა, უეჭველია რომ საყოველთაო ზავის ჩამოგდება კიდევ გადაიდება, მიტომ რომ გერმანეთი არავითარ შემთხვევაში არ დასთანხმდება ერთსა და იმავე დროს მთელი ელზას ლორენისა და მთელი კურლიანდიის დაბრუნებას. მაშინ რუსეთის ან სეპარატიული ზავის შეკვრა მოუხდება ან კიდევ ომის ხელახალი დაწყება.

ბ. ქ.

# ზავის გარშემო

## გერმანული პრესა

### ლლოიდ ჯორჯის სიტყვის შესახებ.

გერმანული პრესა ნაკლებად მსჯელობს ლლოიდ ჯორჯის სიტყვაზე. „ბერლინ პოსტმა“ განაცხადა, რომ ამნაირი პირობები შეჰშვენის გამარჯვებულს დამარცხებულის მიმართ. „ფილნიშე ცაიტი“ აფასებს ლლოიდ-ჯორჯის სიტყვას, როგორც პირველ კონკრეტიულ საზავო წინადადებას ინგლისის მხრივ. მაგრამ აცხადებს ამასთანავე, რომ გერმანეთის მოკავშირეთა ზავი და გერმანულ ახალშენების დაბრუნება მისაღები არ არის.

პრეზიდენტმა ვილსონმა მოსწერა ლლოიდ-ჯორჯს თავისით და ამერიკის მთავრობის სახელით, რომ ისინი სულით და გულით ეერთდებიან მის სიტყვას.

ბავარიის კარდლმა განაცხადა, რომ უნდა ვიბრძოლოთ, სანამ მოპირდაპირე ზავზე არ დაგვეთანხმებიან. ლუშმანის პირობები ჩვენთვის ხელსაყრელი არაა და ჩვენ, გერმანეთის ერთს მტკაველს მიწასაც, არავის არ შევარჩენთ.

„ტაიმსმა“ განაცხადა, რომ ეს ერთად ერთი სახელმწიფოებრივ დოკუმენტია დღიდან ომის გამოცხადებისა. ერთა შორის კავშირის მისაღწევად, მზადა ვართ ვიბრძოლოთ მუდამ. ამერიკული გაზეთებიც მხურვალედ შეეგებნენ ლლოიდ-ჯორჯის სიტყვას. მუშათა პარტიის ლიდერები ტომასი და სანოუდენი, აგრეთვე ჰენდერსონი დიდად აფასებენ ამ სიტყვას, როგორც ზავის მომასწავებელს. საერთოდ ლლოიდ-ჯორჯის სიტყვამ დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია ყველგან.

### ვილჰელმ მე-2-ს მოწოდება

„ბერლინერ ცაიტუნგ“-ი ჰბეჭდავს ცნობას, თითქოს ვილჰელმ მეორეს განუზრახავს მისვლა ბრესტ-ლიტოვსკში და იქიდან მოწოდების მიმართვა ყველა მონარქებისადმი.—„ყველა ერებს ჰსწყურიათ მშვიდობა—უთქვამს ვილჰელმს—გადასაწყვეტი გვაქვს დიდი საკითხები. სახელმწიფოებმა ერთის ძალით უნდა შეასრულონ იგი.

# ომი

## მესოპოტამიაში

ინგლისელებმა დაიჭირეს სანნანი, ხილე და მდინარე ეფრატზე მდებარე კეფილი, კერბელის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

## არაბეთში

არაბები იმაანის ჩრდილოეთით ოსმალთა პოზიციებისკენ მიიწევენ. მათ ხელშია უკვე გაანის სამხრეთით მდებარე ხიდები.

## იტალიაში

**სტოკჰოლმი.** ქრისტეშობისთვის 29. ქრისტეშობისთვის 28-ს ოფიციალი. კენევის დასავლეთით სოტომდე—ასის მარცხნივ, ჩვენმა პატრულებმა ხელთ იგდეს რამდენიმე ტყვე. გრაპულსა და პაჰალოპოლში ჩვენ მტერი გავდევნეთ. დონის რაიონში მტრის სატრანშეო მორტირები ჩავაჩუმეთ.

## ინგლისელთა მოქმედება

ინგლისელი ჯარები ქრისტეშობისთვის 30 თავს დაესხნენ მტრის თხრილებს ლოოსის მთის სიმაღლეზე და მოიგერიეს ლენსის სამხრეთით მომდებარი მტერი.

## ამერიკა

ამერიკის სამხედრო მდივანმა ვაშინგტონში განაცხადა, რომ მილიონ ნახევარი ამერიკული ჯარი საომრად დამზადებული, ვარჯიშობს ან ამერიკაში ან საზღვარ-გარედ. სავიაციო კომანდა შესდგება 3,900 ოფიცრის მიერ და 82,130 ჯარისკაცის მიერ.

## ომის ფასი

ამერიკელ სტატისტიკ ედგარ კრემენის გამოანგარიშებით მსოფლიო ომის პირველი წელი დამჯდარა 91 მილიარდი, მეორე წელი 136, მესამე—204 მილიარდი.

## ამირბარი კოლჩაკი

როსტოვში სევასტოპოლიდან ჩამოსული ფლოტის ოფიცრები აღნიშნავენ, რომ ამირბარი კოლჩაკი, რომელიც შავზღვის ფლოტს უფროსობდა, ეხლა შეერთებულ შტატების ყველა საზღვაო ძალების უფროსია. მოკავშირეთ სთხოვეს კოლჩაკს აბირბარობა ხმელთაშუა ზღვაზე შეერთებულ ფლოტის უფროსობა, მაგრამ ამირბარ კოლჩაკმა ამერიკაში დარჩენა არჩია.

## ინგლისის გემის ჩაძირვა

ინგლისის საჰოსპიტალო გემი „რევა“ დუვრის არხში ჩასძირეს. გემი გიბრალტარიდან მოდიოდა. გადაარჩინეს ყველა დაჭრილი, კომანდიდან სამი დაიღუპა.

## ინდოეთის აჯანყების განზრახვა

სან-ფრანცისკოში ყოფილ გერმანელ კონსულს შეჰნიშნეს, რომ სხვა და სხვა გზებით და ხერხით ის ცდილობდა ხომალდებით შემოეტანა დიდძალი იარაღი ინდოეთის ასაჯანყებლად. იგი დაჯარიმებულია 11,000 დოლლარით.

## ებრაელთა როტები

მოლდავეთის წინასწარ პარლამენტის „სფატულ-ცერიი“-ს ნებართვით, კიშინიოვში მოლდავეთის პოლკებში სდგება ებრაელთა პოლკები. პოლკებში ეწერებიან ბესარაბიის მცხოვრებნი.

# ქართული ლექსი

2. რითმა

[illegible]

მე გამეხარდა გულმება ბაგშური ზანგის.
ყვითელ ქაირში რომ ვაჭრობდა მკრთალ ზანზებით.

აქ არის ოთხფა რითმა: პერანგის, ჰანგის, უზანგის, ზანგის. მათგან ვაჟური რითმაა (ჰანგის—ზანგის), ხოლო ქალური (პერანგის—უზანგის):—შენიშვნა: რადგან ქართულ ლექსს ერთმარცვლოვანი რითმა არ ეხერხება, ამისათვის ვაჟურს ვუწოდებ ორმარცვლოვან რითმას და ქალურს სამმარცვლოვანს. მოყვანილი ოთხფა რითმა სისწორით არ არის გაყვანილი: ან ოთხივე ქალური უნდა იყოს და ან ოთხივე ვაჟური. რიტმის ჩემი განსაზღვრით ეს რითმები ცალკე სიტყვებად წარმოითქმიან და ასე: პერანგის—ჰანგის—უზანგის — ზანგის. აქ მახვილები სხვადასხვა მარცვლებზეა (რიგობით) და რითმაც ირღვევა: თუ ვსთქვი—პერანგი—(მახვილით ბოლოდან მესამე მარცვალზე) მას ვერ გამოყვება რითმად—ჰანგი (პირველი ქალურია, მეორე ვაჟური). მაგრამ შეიძლება ძველი წაკითხვით გამოვიდეს ოთხთა რითმა. გამოვა: ჩემიპერანგის—ფერადიჰანგის—რკალიუზანგის — ბაგშურიზანგის. აქ არის ქალური ოთხფა რითმა, მაგრამ სწორად გაყვანილი არც აქ გამოდის: ერთი იწყება მახვილით „ე“, მეორე და მეოთხე მახვილით „ი“ და მესამე მახვილით „უ“. რითმა კი ერთი და იგივე მახვილიანი ხმოვანით უნდა იწყებოდეს (მაგალითად: ქალის—ვალის).

თვითონ ბესიკიც კი, რომლის ლექსის ტეხნიკა უმძაფრესია, სცოდავს ამ შემთხვევაში. მაგალითი: ლექსი „ბულბული მოდის“. მესამე ხანის რითმები: რჯული—დანაშაული—აღთქმული. პირველი ვაჟურია, მეორე და მესამე ქალური. მაგრამ არც ძველი წარმოთქმით გამოვა რითმა: შეჭფიცერჯული — დანაშაული: პირველი იწყება მახვილით „ე“, მეორე მახვილით „ა“.

ნიკო ბარათაშვილი თითქმის ყოველს ლექსში უშვებს ამ შეცდომას. მაგალითი: მისი საუკეთესო ლექსი „მერანი“. ასეთი რითმები: მერანი—ყორანი (პირველი იწყება მახვილით „ე“, მეორე მახვილით „ო“); ავდარსა—მხედარსა (პირველი იწყება მახვილით „ა“, მეორე მახვილით „ე“); ოხერი—მტერი (პირველი ქალურია, მეორე ვაჟური),—თუმცა არც ძველი წაკითხვით გამოვა: მისგანოხერი—მოსისხლემტერი (პირველი იწყება მახვილით „ო“, მეორე მახვილით „ე“). და ასე ყველგან.

არც აკაკი წერეთელია თავისუფალი ამ ცოდვისაგან. მისი საუკეთესო ლექსი „სულიკო“ ერთს ხანაში ამ რითმით იბზარება: შევხო—დიახო (პირველი იწყება მახვილით „ე“, მეორე მახვილით „ი“).

ჭავჭავაძეებზე, ორბელიანებზე და სხვებზე ხომ ზედმეტია ამ მხრით ლაპარაკი.

მაგრამ ვნახოთ გრიშაშვილი: იგი ხომ რითმის ვირტუოზად ითვლება ჩვენში. ავიღოთ მისი უკანასკნელი ლექსი „ტრიოლეტები შეითანბაზარში“. იქ არის ასეთი რითმა: ფოლორცი—ნატყორცი (პირველი იწყება მახვილით „ო“, მეორე მახვილით „ა“; ან სხვა: დამაბუგოს—წამეჩხუბოს (პირველი იწყება მახვილით „ა“, მეორე მახვილით „ე“).

ერთი სიტყვით, ქართული ლექსი ამ მხრით მეტად კოჭლობს. „ყანწელებმა“ ესთეტიური სმენით იგრძნეს ეს სიკოჭლე,—მაგრამ იმის მაგიერ, რომ რაიმე გზით გამართონ იგი, ისინი ლექსის წარმოთქმაში მახვილს გადასმენ ხოლმე არაბუნებითად. მაგალითად ზემომოყვანილს ოთხფა რითმას, ისინი ასე კითხულობენ: პერანგის—ჰანგის—უზანგის—ზანგის, (მახვილები ყველგან ბოლოდან მეორე მარცვალზე)—ესე იგი, ქალურს რითმას აქცევენ ვაჟურად. მაგრამ ამის გამართლება შეუძლებელია: „პერანგის“ წარმოითქმის—პერანგის (მახვილით ბოლოდან მესამე მარცვალზე)—და არა—პერანგის (მახვილით ბოლოდან მეორე მარცვალზე).

ქართული ლექსი მაშინ იქნება რითმით გამართული, თუ ვაჟური რითმა ცალკე სიტყვებით იჭრება (მაგალითად: ვალი—თვალი—ალი). თანვე რასაკვირველია ისიც უთუოდ იგულისხმება, რომ რითმა თანასწორი მახვილიანი ხმოვანით უნდა იწყებოდეს. რაც შეეხება ქალურს რითმას, მისთვის ცალკე სიტყვა არ არის საჭირო, რადგან რამდენი სიტყვაც უნდა შევაერთოთ, მახვილი მაინც ბოლოდან მესამე მარცვალზე დაესმის და რითმა ქალური გამოვა. მახვილით დაწყებული ხმოვანი აქაც ერთი და იგივე უნდა იყოს (მაგალითად: ჟუნაგირსა—წყლისაპირსა—რუსთაველიდგან; მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე).

შემდგომ, ქართულ ლექსის ხანაში რითმების შექცევითი ჯვარედინი უნდა გატარდეს უთუოდ. მაშინ გამოვა იგი ნამდვილი მუსიკალი. მაგრამ ისე-კი, რომ ორფა რითმა ქალური იყოს და ორფა რითმა ვაჟური. მაგალითად: პირველი სტრიქონის ბოლო: ნარგისი; მეორესი: სველი; მესამესი: ვარგის; მეოთხესი: ველი. გამოვა: ნარგისი—სველი—ვარ-გისი—ველი.

თუ დავაკვირდებით, ქართულ ლექსის რითმა არც ისე ადვილი საქმე ყოფილა, როგორც ბევრსა ჰგონია. ამ მხრით ქართველ პოეტს მრავალი სატეხნიკო სიძნელის დაძლევა დასჭირდება. ჩვენი ახალი პოეზიის საქმეა ამ სიძნელეთა დაძლევა. ერთი ხერხი ამ დაძლევისა აქვე შემიძლია აღვნიშნოთ: ეს არის ასსონანსი (რითმის მაგიერ). მაგრამ ამაზე ცალკე.

გრიგოლ რობაქიძე.

# ბოლშევიკების დიქტატურა

## პეტროგრადში

### ახალი კომისრები

სახალხო განათლების კომისარიატში ახალ განკარგულებით კომისრებად დაინიშნენ ულიანოვა და მენჟინსკაია.

### ლენინის მოკვლის სურვილი

ამას წინად ლენინის მოკვლა განუზრახიათ და მის ავტომობილისათვის სროლა აუტეხნიათ. ჩვენება ჩამოართვეს შოფერს. მასზე ეჭვი შეჰქონდათ: იცოდი რომ ლენინისთვის სროლა უნდა აგეტეხნათო. შოფერს განუცხადებია: სროლა რომ აგვიტეხეს, ლენინმა დამიყვირა „გააქანე“ მეც ავასრულე მისი ბრძანება, მაგრამ კინაღამ ავტომობილი არ გადაბრუნდა. ლენინი მალად გაფითრებული ჩამოვიდა ავტომობილიდან და ვერ გამორკვეულიყო, განზრახ მოხდა ეს ამბავი თუ შემთხვევამ მოიტანა. ამ ბოლო დროს ლენინი ყოველ დღე იცვლის ავტომობილებს. იგი ნიკოლოზ რომანოვის ავტომობილითაც დაბრძანდება.

### პუტილოვის ქონების ჩამორთმევა

ლენინის დეკრეტით რუსეთ-აზიის ბანკის თავმჯდომარე პუტილოვს ერთმევა ყველა უძრავი და მოძრავი ქონება, რადგან იგი გაიწვია გამომძიებელ კომისიამ, მაგრამ არ გამოცხადდა

## პურიშკევიჩის გასამართლება

მოსკოვში დაიწყო პურიშკევიჩის გასამართლება. როცა შეეკითხნენ, სცნობს თუ არა თავს დამნაშავედ, მან განაცხადა: მე ვარ წმინდა წყლის მონარქისტი, მაგრამ ცვლილების შემდეგ შექმნილ მონარქისტულ ორგანიზაციაში არ მიმიძღვის დანაშაული. სასამართლოს სხდომა რამდენიმე დღით გაგრძელდა.

## მამის აზრი გოცის შესახებ

მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრის სოციალისტ-რევოლუციონერ გოცის შესახებ მამას უთქვამს: მე ჩემ შვილს ცხვრის ფარასაც არ ვანდობდი, მაგრამ მე არა შემიძლიან არა იმის წინააღმდეგ თუ რუს ხალხს ჰსურს, რომ მას ჩემი შვილი უფროსობდეს.

## რუსების შეკრება

„უტრო როსიის“ კორესპონდენტი ესაუბრა მთიელთა და ტარამალის ერთა სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის თავმჯდომარე ხარლამოვს, რომელიც ეკატერინოდარისკენ მოდიოდა. აქ ჩამოვიდნენ უკრაინის წარმომადგენლები, მათ აზრად აქვთ კავშირის შეკვრა სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირთან. ხარლამოვი ამ კავშირს დიდ მნიშვნელობას აწერს. მისი მიზანია რუსეთის თანდათანობით გაჯანსაღება და კავშირთან შეერთება. კავშირი მალე ციმბირთან ბლოკს შეჰკრავს. კავშირის მიზანია სახელმწიფოს გუდად გადაქცევა.

## მეზღვაურის დახვრეტა

კრონშტადტში მეზღვაურებმა დახვრიტეს მეზღვაური ივანე ცვეტკოვი იმის გამო, რომ მან სიმთვრალის დროს იაპონიის საელჩოს ბტაზე გალახა.

## გერმანელი სოციალისტები

ტროცკის განცხადებით: პეტროგრადში ეშიარაღებული გერმანელები არ არიან, არიან მხოლოდ გერმანელი და ავსტრიელი სოციალისტები, რომლებიც გერმანიის წინააღმდეგ ამხედრდებიან თუ გერმანეთი უარს განაცხადებს რუსეთის მიერ წაყენებულ საზავო პირობებზე.

# უკრაინა

## ბრძოლა ბოლშევიკურ ჯარებთან

კაზატინ-ჟმერინკის რაიონში უკრაინულ და ბოლშევიკების ჯარების შორის დიდი ბრძოლაა.

## პეტლიურას გადადგომა

სამხედრო საქმეთა მთავარი მდივანი პეტლიურა ავადმყოფობის გამო თანამდებობიდან გადადგა.

# ევროპული საკითხი

## ირლანდიის სეპარატიზმი

გაზ. „ნოვაია ჟიზნ“-ის ცნობით ირლანდიელთა ყურადღება კვლავ კონვენტისკენაა მიქცეული, რომელიც უკვე ხუთი თვეა, რაც იმუშავებს ირლანდიის ავტონომიის დებულებას. ამ ხანში სინფეინერების რევოლუციონური მოძრაობა თანდათან ძლიერდება. კონვენტს არავითარი ნდობა არა აქვს. ხალხში ის ხელოვნურად შეჰქმნა ინგლისის მთავრობამ და ირლანდიელებმა კი თავიდანვე ბოიკოტი გამოუცხადეს მას. კონვენტის მუშაობა

ეროვნული

სრული საიდუმლოებით არის მოცული; გაზეთებს აეკრძალული აქვთ მოათავსონ არამც თუ წერილები კონვენტის მუშაობაზე, არამედ უბრალო ცნობებიც კი მის შესახებ, გარდა იმ 10—15 სტრიქონისა, რომელსაც მთავრობა აწვდის მას დღე და ღამე. რაკი სინფეინერებმა და სხვა მემარცხენეებმა ბოიკოტი გამოუცხადეს კონვენტს, მასში მხოლოდ ანტი-ავტონომისტი ულსტერელები და ანგლოფილები შედიან. მიუხედავად ამისა მოსალოდნელია, რომ კონვენტის მიერ შემუშავებული დებულება განუხორციელებელი დარჩეს.

ყველა ეს გათვალისწინებული აქვს ხალხს და ღელავს. რევოლუცია ყოველდღიურად მწიფდება, რის საუკეთესო მაჩვენებელიც გამოდგა სინფეინერების ყრილობა, რომელსაც 1700 დელეგატი დაესწრო.

ივნისში ინგლისის მთავრობამ მეამბოხე სინფეინერების მეთაურნი გაანთავისუფლა იმ იმედით, რომ ეს დააწყნარებდა ირლანდიელებს, მაგრამ მეთაურების დაბრუნებამ უფრო გააძლიერა ხალხის ფართე წრეების რევოლუციონური სულისკვეთება. სინფეინერების გაძლიერება იმას ნიშნავს, რომ მთელს ირლანდიაში საბოლოოდ მტკიცდება სეპარაციის იდეა; ეს ცხადია ისეც დღეს, როდესაც იმართება დემონსტრაციები, ხდება პოლიციელებთან შეტაკება, აწყობენ პარადებს და ხალხს მოუწოდებენ რევოლუციის მოსახდენად.

დუბლინის ციხეში გარდაიცვალა სინფეინერების მეთაური ექიმი ეში. ხალხში ხმა გავრცელდა, ექიმი ეში ციხის ზედამხედველებს ძალით მოუკლავთო. სინფეინერების მეთაურის დაკრძალვა დიდ პოლიტიკურ მანიფესტაციად გარდაიქცა. მანიფესტანტებთან შეტაკების ასაცილებლად მთავრობამ ჯარი და პოლიცია მოაშორა იმ ქუჩებს, სადაც მანიფესტანტებს უნდა გაევლოთ.

მთავრობას ეშინია, რომ რეპრესიებით უფრო გაამწვავებს საქმეებს და ლბილად ეპყრობა რევოლუციონერებს; მათ მოწოდებებს ცენზურა გაზეთებში არა ჰშლის. ირლანდიის ყველა წრეები დარწმუნებული არიან, რომ ინგლისი „თავს დაესხმის“ და ამიტომ უფრო მედგრად ემზადებიან. ინგლისური გაზეთების აზრით ირლანდიელი რევოლუცია გაცილებით დიდი ვიდრე წინა რევოლუციები. ჰაერში ისმის რევოლუციონური ჰანგები და თავისუფლებისათვის ბრძოლის მოწოდება. დღეს არა ხვალ იფეთქებს აჯანყება.

# უკანასკნელი დეპეშები

საზავო მოლაპარაკების რომელიმე ნეიტრალ ქვეყანაში დანიშვნის შესახებ ცენტრალ სახელმწიფოების წარმომადგენლებმა უპასუხეს ბოლშევიკებს: „ან ბრესტ-ლიტოვსკში, ან არსად არავითარი მოლაპარაკებაო“.

—

შვედეთის ბანკები რუსულ ფულს და ფინ ქაღალდებს აღარ იღებენ.

—

იანვრის პირველამდე ომზე ყველა სახელმწიფოებს დაუხარჯნიათ 585 მილიარდი მანეთი.

—

იანვრის 12, გლეხთა ყრილობაზე უკრაინის გლეხებიც მოიწვიეს. მათგან თანხმობა ჯერ არ მიუღიათ.

—

შვედეთი ფინლიანდიასთან ცალკე საზავო ხელშეკრულებას სდებს.

—

მანჯურიაში რუსული მანეთი 6 კ. ღირს. ჩინელები და იაპონელები მას აღარ ღებულობენ.

—

ზინოვიევს უთქვამს, 5—12 იანვარს რუსეთში დიდი ამბებია მოსალოდნელიო.

—

ფინლანდიაში ანარქიაა. წითელი გვარდია აღარ ემორჩილება ესდეკებს.

—

რუსისა და უკრაინის ესერები შეთანხმდნენ იმ პირობით, რომ დამფუძნებელმა კრებამ მონარქია საბოლოოდ გაუქმებულად გამოაცხადოს და ფედერატიული წესწყობილება დაამყაროს.

—

ესერებმა დაადგინეს, თუ ბოლშევიკები გარეკენ დამფუძნებელ კრებას, სხვა ადგას მოიწვიონ იგი.

—

ქ. ირკუტსკში დიდი ბრძოლაა ბოლშევიკურსა და ანტი-ბოლშევიკურ ჯარების შორის. ბოლშევიკების წინაამდეგ იბრძვის შეერთებული დიდი რაზმი ბაიკალის ყაზახებისა, იუნკრების, მოხელეების და ინტელიგენციისა. ბოლშევიკები მოითხოვდნენ მე-11 და 12 პოლკებისგან ჩამორთმეულ იარაღის დაბრუნებას. მათ ალყა შემოარტყეს ქალაქს გამგეობას და არსენალს. ბრძოლა სადგურთან დაიწყო. რკინის გზის მსახურთა ნაწილი ბოლშევიკებს მიემხრო. ანტიბოლშევიკების მხარეზე მოკლულია 2000 მდე კაცი. ქალაქის ცენტრი გადამწვარია. უკანასკნელი ცნობით, ფოსტა-ტელეგრაფი, სადგური, ხაზინა და და არსენალი ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში. მცხოვრებნი სამხრეთ-აღმოსავლეთს გარბიან. ხარბინში ისინი ჩინელებმა არ შეუშვეს. ქ. ჩიტა გაივსო გახვეწილებით.

# ქრონიკა

## თბილისი.

◆ **ავანსი დამფუძნებელ კრების წევრებს.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაადგინა მიეცეს დამფუძნებელ კრებაზე მიმავალ თითო დეპუტატს ავანსად 3000 მანეთი.

◆ **კავკასიის საფინანსო თათბირი.** ამ დღეებში კავკავში ჩრდილო კავკასიის მთავრობათა განკარგულებით მოხდება საფინანსო თათბირი სხვა და სხვა ბანკების წარმომადგენელთა. ამ თათბირზე ამიერ-კავკასიის კომისარიატი თავის მხრივ გზავნის: განჯის სახელმწიფო ბანკის მმართველის თანაშემწეს ბატონ მაღიუგას.

◆ **ოსების ეროვნული საბჭო.** სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო უკვე შესდგა და მუშაობა დაიწყო. საბჭო თბილისში იმყოფება.

◆ **წყალ-კურთხევა.** დღეს, ნათლისღებას, საღმრთო ლიტურღიას ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში შეასრულებს თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე, წირვა დაიწყება დილის 8 ნახევარ საათზე. წირვის შემდეგ, დაახლოვებით 10 ნახევარ საათზე, ქაშვეთის ეკლესიიდგან თბილისის სამღვდელოება უწმიდესის სრულიად საქართველოს კათალიკოზის კირიონის თავმჯდომარეობით ლიტანიით წავა იორდანეზე ვერის დაღმართით. იორდანეს გამართვა ქალაქმა არ იკისრა, ამიტომ იგი იქნება მოწყობილი სადათ. იქ, სადაც წყალი უნდა აკურთხონ, ვერის ხიდის ზემოდ, იქნება აღმართული დიდი ხის ჯვარი, ცოცხალი ყვავილებით შემკული.

◆ **კაკი წერეთლის ავადმყოფობა.** ევგენი გეგეჭკორმა დეპეშა მიიღო, რომ კაკი წერეთელი სახადით ავად გამხდარა. მიმართვა შეიძლება დამფუძნებელი კრების სოც.-რევოლუციონერთა ფრაქციის საშუალებით.

◆ **„ლალატი“ სახაზინო თეატრში.** კვირას, 7 იანვარს, დილით ქართველ მსახიობთა მიერ საუკეთესო ძალების მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ლალატი“.

## ქუთაისი

◆ კარლო ჩხეიძე ამ ჟამად ქუთაისში იმყოფება.

◆ **უფასო სკოლა.** გადაწყვეტილია, რომ ამ მოკლე ხანში ქუთაისში სახელოსნოებში ხელზე მოსამსახურე ბავშვებისათვის დაარსდეს სადამოს სკოლა. მოსამსახურე ბავშვები მუშაობისაგან განთავისუფლებულ უნდა იქნენ ნაშუადღევის 3 საათიდან.

— როგორც საგუბერნიო სტატისტიკური ბიუროს ცნობებიდან სჩანს, უკანასკნელი აღწერით ქუთაისის გუბერნიაში ყოფილა სულ 870 ათასი მცხოვრები.

## ჩოხატაური

◆ **სურსათის განაწილება.** ჩოხატაურის რაიონის კოოპერატივთა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტის წინაშე, რომ გუბერნიისთვის მიღებული სურსათ-სანოვაგე ყოველთვის გადასცეს საგუბერნიო გამნაწილებელ პუნქტს რომელიც თავის დროზე მიაწვდის მაზრებსა და რაიონებს.

## დ. აბაშა

◆ **გიმნაზიის გახსნა.** იანვრის შუა რიცხვიდან გაიხსნება სრულუფლებიანი რვა კლასიანი გიმნაზია.

## ქ. ლანჩხუთი

◆ **მასწავლებლების გაფიცვა.** ოზურგეთის რაიონის სახალხო მასწავლებლები 7 იანვრიდან გაფიცვას აპირებენ. მიზეზი გაფიცვისა ჯამაგირების თავის დროზე მიუღებლობა არის.

## სოფ. ზენი

◆ **სასწავლებლის გახსნა.** ამავე სოფლის მცხოვრებლების ი. არაჩემიას და გ. ჰანტურიას მეცადინეობით დაარსდა უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი. სასწავლებლის გამგედ მოწვეული არის ბიქტორ გრიგოლაშვილი.

# ხევსურთა ლექსები

ერთს კიდევ ვიტყვი სიტყვასა, მოდით, დამიგდეთ ყურია!
რომელ ასტეხე „თინი“, შენი სულიმცა კრულია!
არ მოგწყინდათა ქართველნო, რუსთ მეფის სამსახურია?
კაც მაგათ ხელში ნამყოფი სულ დაწყლულ-ჟადაგულია.
ომში წიოდის სალდათი, იწვების დედის გულია,
დაწოლილს არ ეძინების, შვილი ჰყავს დაკარგულია.
ცოდვიანი ხარ ხემწიფე, სუყველას გადახულია,
სრუ ფეხზედ გიდგას სალდათი, საომრად დამზადულია.
ხელში უჭირავთ თოფები წვერზე ხიშტ ჩამოცმულია.
წინ მაუძღვების ოფიცერ, წელზე ხმალ შემორტყმულია,
კამანდრებ უკამანდრებენ, რაც წესი სალდათურია.
გერმანიის ჯარზედა ქართველ ზემისვლა თქმულია?
მავიდა სისხლის წვიმაი, ნამდვილად გაგებულია,
გრანიცეებზედ მინდვრები—სულ სისხლით შაღებულია.
ახლა აქაურ გიამბოთ, ამბავი ჩვენებურია,
მტერი ადგომას აპირობს, ოსმალოც დამზადულია,
ხევსურთა ახალგაზდანი სულ რუსეთს გაკრეფილია,
აღარ გვაძლევენ თოფებსა, ხაზინაც დაკეტილია,
არ შავიანებ ვიყიდოთ, მივსცათ ხუთ-ხუთი ფურია,
ამზადეთ ტყვია-წამალი ვისაც რო გაქვსთ ფულია,
ეხლა ისევე მაგვიდის წინა წესი და რჯულია,
ხირიმებ დაიწმინდების, რაც დროთა გაჟანგულია,
ფრანგულებ დაილესების, ხოგ ფხაზედ გაჩაღებულია.
ვაჟნო! რათ გინდათ ნაქონი ჩასაცმელ დასახურია,
ან ვერცხლის დანა სარტყლები, ან ქუდი ყაზახურია.
მზად გინდათ ტახტის თავითა მულჩაი გაბანდულია,
ხვადი ეზოჩი ნაბამი სრუ იდგას შეკაზმულია,
ჩქარობდის ხვადის პატრონი, საომრად დაჩაჩქნულია.
ამაგის მადლ ექსებელი სონების მაგანძურია,
ხელში უჭირავს სურაი არაყით გავსებულია,
გადასომს სულ უქცევრადა, საქვეყნო სადღეგრძელოა,
თქვენისა გამარჯვებისა ლექს უთქვამს საზანდრულია.

ღვთისო გიგაური.

# საზოგადოება და კრებები

◆ **ეროვ.-დემოკრ. მოწაფეთა კონფერენცია** რომელიც დანიშნული იყო 10 იანვრისათვის ქ. თბილისში, აღარ შესდგება 19 წლიანების მობილიზაციის გამო. როგორც კონფერენციის მომწვევი კომისია, ისე მოწაფეთა კომიტეტის მთელი შემადგენლობა ჯარში გამოცხადდება.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის ქართველ მოსამსახურეთა კულტ.-განმ.** კავშირმა თავის ფონდის გასაძლიერებლად კვირას, იანვრის 7 მართავს პირველად ქართულ საოჯახო დილა-სადამოს.—დილით ბავშვთათვის იქნება მოწყობილი შობის ხე, ხოლო სადამოთი მოზრდილთათვის წარმოდგენა კონცერტით.

◆ **საბურთალოს აუდიტორია.** კვირას, იანვრის 7 დილის 10 საათზე საბურთალოს აუდიტორიაში დანიშნულია ამავე აუდიტორიის საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. კრების მიზანი: 1) წარსული წლის ანგარიშების განხილვა. 2) სათეატრო საკითხები. 3) გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.

# თათბირი

## ამიერ-კავკასიის ცენტრში მობილიზაციის შესახებ

4 იანვარს ამიერ-კავკასიის ცენტრმა განიხილა საკითხი ჯარების მობილიზაციის შესახებ. საკითხმა ცხარე კამათი გამოიწვია. ცენტრი არ ეთანხმება ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რომ მობილიზაცია მოხდეს ამ ჟამად, ვინაიდან არ მოიპოვება ჯარებისათვის სურსათ-სანოვაგე და ტანსაცმელი. საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა შემდეგისათვის გადაიდო.

# გურული რაზმი თბილისში

გუშინ გურიიდან თბილისში ჩამოვიდა წითელ გვარდიელების მთელი რაზმი, რიცხვით ორასი კაცი. გურული წითელ გვარდიელები დროშებით და სიმღერებით სასახლესთან მივიდნენ, სადაც მრავალ ხალხს მოეყარა თავი. მათ დასახვედრად გამწკრივებულიყო თბილისელ წითელ გვარდიელების რაზმი.

გურულებთან გამოვიდა ნოე ჟორდანია. მის დანახვაზე გურულები ყვიროდნენ: „გაუმარჯოს ჟორდანიას“. ჟორდანია შემდეგი სიტყვით მიესალმა მათ: „თქვენ მოხვედით აქ იმ ხალხის დაძახებაზე, რომელთანაც გაერთებთ აზრები, რომელსაც თქვენ მუდამ ემსახურებოდით. ამასთანავე თქვენ მოხვედით აქ, როგორც გურულები და თქვენ უნდა უჩვენოთ თბილისელებს, თუ რა ორგანიზაცია აქვთ გურულებს და როგორ იციან მათ ბრძოლა, რიცა ეს საჭიროა თანახმად მათის აზრებისა“.

ჟორდანიას სიტყვის საპასუხოდ ილაპარაკა ერთმა წითელ გვარდიელმა: „ჩვენ მოვედით აქ მენშევიკების მოწოდებით და აღმასრულებელ კომიტეტის დაძახებით თანახმად. ჩვენ დავიცავთ თბილისის მოქალაქეთა ინტერესებს, ვიმედოვნებთ, რომ ისინი თვითვე დაგვეხმარებიან ამ საქმეში. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ სიკვდილისა, მაგრამ სიკვდილის წინააღმდეგ სიკვდილითვე ვებრძოლებით. გაუმარჯოს გურულ რაზმს და გაუმარჯოს დემოკრატიას!“

ამის შემდეგ წითელ გვარდიელები სასახლის თეთრ დარბაზში შევიდნენ. აქ ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით გურულ წითელ გვარდიელებს მიესალმნენ ამიერ კავკასიის კომისარიატისაგან ა. ჩხენკელი და სოციალ-დემოკრატიულ ოლქისაგან ნ. რამიშვილი, თბილისის წითელ გვარდიის სახელით გურულებს სიტყვა უთხრა ვ. ჯუღელმა.

ამ დღეებში ასეთსავე რაზმებს ელიან სამეგრელოდან, იმერეთიდან, ქართლიდან და კახეთიდან.

# საოლქო ცენტრის რეზოლუცია

## ოსმალეთთან ზავის შესახებ

იანვრის 4-ს საოლქო ცენტრმა შემდეგი პროექტი შეიმუშავა ოსმალეთის წინადადების საპასუხოდ სამშვიდობო ზავის შესახებ:

1) გვსურს-რა ისეთი სამშვიდობო ზავის ჩამოგდება, რომელიც შესაწყნარებელი იქნება რუსეთის რესპუბლიკის მიერ, საჭიროდ ვსთვლით გაცნობოთ, რომ ჩვენ, როგორც ნაწილი, რომელიც რუსეთის რესპუბლიკაში შედის, შეგვიძლიან დავიწყოთ სამშვიდობო მოლაპარაკება მხოლოდ სათანადო რწმუნების მიღების შემდეგ ახლად გახსნილ დამფუძნებელ კრებისაგან. ჩვენს დეპუტატებს, რომელნიც დამფუძნებელ კრებაზე მიდიან, ვავალებთ თქვენი წინადადება პირველად წარადგინონ განსახილველად და პასუხს დაუყონებლივ გაცნობებთ.

2) ამასთანავე საოლქო ცენტრი წინადადებას აძლევს ამიერ კავკასიის კომისარიატს მოლაპარაკება გამართოს რუსეთის ყველა მთავრობებთან, მათ შორის სახალხო კომისრებთან, ზავის შესახებ.

# მოკავშირე სახელმწიფონი და ამიერ-კავკასია

ამიერ-კავკასიის კომისარიატს მოკავშირეებისაგან მოუვიდა ნოტა საზავო პირობების შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ მოკავშირეები მხოლოდ ამ პირობებით შეეკვრიან ცენტრალ სახელმწიფოებს ზავითაო. ნოტის ტექსტი ამ დღეებში გამოქვეყნდება ოფიციალად. ნოტაში, სხვათაშორის, კომისარიატს დავალებითი ხასიათის წინადადება ეძლევა ავტონომიური წესწყობილება შემოიღოს ოსმალეთის დაპყრობილ ოლქებში.

# სამაჰმადიანო საქართველო და ეროვნული საბჭო

ბათომის ქართველ მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებამ შემდეგი მისალმებანი გაუგზავნა შემდეგ დაწესებულებათა და პირებს:

ა) ქართულ ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. 23 ქრისტეშობისთვეს, კომიტეტის და საზ—ის გაერთიანებულ კრებაზე დადგენილია მოწვეულ იქმნას დიდი ყრილობა (300 დელეგატი) არა უგვიანეს 10 იანვრისა (1918 წ.), მთელი ამ მხარის საჭიროებათა გამოსარკვევად და მძიმე საკითხების გადასაწყვეტად. მაგრამ ჩვენს მიზანს მრავალი ტეხნიკური დაბრკოლება ეღობება, რაიც რთულდება კომიტეტის ნივთიერი საშუალებათა უქონლობით, მიეღეთ რა მხედველობაში ყოველივე ეს, დავადგინეთ მოვმართოთ ნივთიერ დახმარების აღმოსაჩენად. გთხოვთ, გვაცნობოთ, აღმოგვიჩენთ თუ არა შემწეობას, რათა შესაფერ სამზადისს შეუდგეთ.

ა. ი. ჩხენკელს. დიდად პატივცემულო აკაკი ივანეს ძევ! დაუფასებელია თქვენი ღვაწლი ქართველ მაჰმადიანთა წინაშე. იმ დროს, როცა ძველი მთავრობა მაჰლაჯუნისავით გვაწვა და მეფის აგენტები ხელებს გვიკრავდნენ, გაისმა თქვენი ხმა სახელმწიფო სათათბიროში ჩვენ დასაცავად; აღმართეთ რა ხელში დროშა დემოკრატიისა, მოისწრაფეთ ჩვენსკენ და ნაყოფი თქვენი შრომისა, ყველამ იცის ჩვენში. ახლაც, ამ განცდისა და ანარქიის დროს, როცა ბნელი ძალები კვლავ ჰლამობენ რჩეულთა დაღუპვას, თქვენ გამოჩნდით და გამოჰგლიჯეთ ჩვენი თავი მტარვალთა ხელებს. ახლაც, როცა მთელს რუსეთში გაჩაღებულია მუშაობა ეროვნულ შენებისა, არ დაგვტოვეთ და ხელთ იპყარით საქმე ჩვენის ცხოვრებისა. გამოუთქმელია მადლობა ჩვენი თქვენდამი. არ არის ერთი კუთხე სამაჰმადიანო საქართველოში, დიდად პატივცემულო აკაკი ივანეს ძევ, სადაც არ გიცნობდნენ და მადლობით არ გიხსენიებდნენ. ხოლო სამაჰმადიანო საქართველოს მომავალ ისტორიაში თქვენ ღირსეული ადგილი დაგეთმობათ“.

ასეთივე სამადლობელო შინაარსის დეპეშა მიიღო ივანე გომართელმა.

კომიტეტის თავმჯდომარე **მამედბეგ აბაშიძე**, მდივანი **დ. კიკავა.**

# ოსეთის ეროვნული საბჭო

ოსების ეროვნულმა ყრილობამ საჭიროდ დაინახა დაეარსებინა ოსეთის ეროვნული საბჭო. ეროვნულ საბჭოს დებულება შემდეგს შეიცავს:

**მუხლი 1.** უმაღლესი ძალა, ვიდრე დამფუძნებელი კრება სახელმწიფოებრივ წესრიგს დაამკვიდრებდეს, ოსეთის ტერიტორიაზე ეკუთვნის ოსეთის ეროვნულ ყრილობას და ეროვნულ საბჭოს.

**მუხლი 2.** ოსეთის ეროვნული საბჭო არის: ა) საკანონმდებლო ყრილობა, ბ) უმაღლესი სახელმწიფოებრივი ძალა, ზედამხედველი და ხელმძღვანელი ორგანო.

ყველა დადგენილება ეროვნულ საბჭოს ხელში უნდა გადავიდეს.

**მუხლი 3.** ა) ოსეთის ეროვნულ ყრილობას უფლება აქვს, შეავსოს და განმარტოს ეროვნულ ყრილობის დადგენილებანი. ბ) ადგენს კანონებს, რომელიც არ ეწინააღმდეგებიან ეროვნულ ყრილობის დადგენილებას და არ დატვირთავს მცხოვრებლებს ახალი გადასახადებით. ვ) უფლება აქვს უკიდურეს შემთხვევაში გამოსცეს დადგენილებანი მიმდინარე მომენტის შესახებ, რასაც განსახილველად წარუდგენს ეროვნულ ყრილობის [illegible].

**შენიშვნა:** დადგენილებანი მიღებულ უნდა იქმნან ყრილობაზე კენჭის ყრის საშუალებით უმრავლესობის მიერ.

**მუხლი 4.** ოსეთის ეროვნულ საბჭოს ეძლევა უფლება საკანონმდებლო ინიციატივისა.

**მუხლი 5.** ყველა კანონმდებლობითი წინადადებანი, რომელნიც დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს ეროვნულ ყრილობას, წინდაწინვე განხილულ უნდა იქმნას საბჭოს მიერ.

**მუხლი 6.** ოსეთის ეროვნული საბჭო აწესებს ოსეთის ტერიტორიაზე გამგებლობას, ეროვნულს ჯარს, კონტროლს უწევს ყველა არსებულ სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებათ და მათ მოქმედებას ხელმძღვანელობს.

**მუხლი 7.** ოლქის კომისარი, სახალხო მილიციის გამგე თუ სახელმწიფო ორგანოთა გამგე ინიშნება ეროვნულ ყრილობის მიერ.

**შენიშვნა:** ეროვნულ საბჭოს შეუძლიან განუცხადოს უნდობლობა კომისარს, რის გამო კომისარი თანამდებობას თავს ანებებს.

ეროვნულ საბჭოს უფლება აქვს მართელობა ჩააბაროს თავის მიერ დანიშნულ კაცს.

**მუხლი 8.** კომისარის თანაშემწე და სახელმწიფოთა ორგანოების გამგებს ირჩევს ერ. ყრილობა.

**მუხლი 9.** ოსეთის ეროვნულ საბჭოს ირჩევს ოსის ხალხი.

**მუხლი 10** ეროვნულ საბჭოს ჰყავს წარმომადგენელი თბილისში ეროვნულ ინტერესების დასაცავად.

**მუხლი 11.** ეროვნულ [illegible]ძლია შეჰკრას ხელშეკრულობები მეზობელ ერებთან, მაგრამ ეს ხელშეკრულებანი განსახილველად უნდა წარედგინოს ერ. ყრილობას.

**მუხლი 12.** ოსეთის ერ. საბჭოს წევრობა საპატიოა.

**მუხლი 13.** დეპუტატის პიროვნება ხელშეუხებელია და იმყოფება ოსეთის ხალხის დაცვის ქვეშ.

**მუხლი 14.** დეპუტატები არჩეული არიან ერთი წლის ვადით და ფიცს სდებენ კონსტიტუციაზე.

**მუხლი 15.** დეპუტატს ვერვინ წაართმევს თავისუფლებას ეროვნულ საბჭოს დაუდგენლად.

**მუხლი 16.** ოსეთის ეროვნული საბჭო შესდგება ა) 12 დეპუტატისაგან და 12 კანდიდატისაგან, ბ) ორი დეპუტატისაგან ოსეთის ჯარისგან, გ) ერთი დეპუტატისაგან ჩრდილო ოსეთის კოოპერაციებისაგან, დ) ერთის დეპუტატისაგან ჩრდილო ოსეთის მოწაფეებისაგან, ე) ერთი დეპუტატისაგან მაზდოკის მაზრის ოსებისაგან, ვ) ერთი დეპუტატისაგან ლაბინის ოსებისაგან.

**მუხლი 17.** ქართველობას ეთმობათ ერთი ადგილი ეროვნულ საბჭოში. აგრეთვე ერთი ადგილი საბჭოში ეთმობათ ყველა იმ ეროვნებათ, რომელნიც ოსეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

**მუხლი 18.** კანდიდატები ოსეთის ეროვნულ საბჭოს დამატებით დეპუტატებად ითვლებიან.

**მუხლი 19,** სამხრეთ ოსეთში იმყოფება სექცია ოსეთის ეროვნული საბჭოსი.

**მუხლი 20.** სამხრეთ ოსეთის სექციას ჰყავს მუდმივი წარმომადგენელი ოსეთის ეროვნულ საბჭოში, რომელიც კავკავში იმყოფება.

**მუხლი 21.** ეროვნული სექციის შინაური წესდებას ადგენს თვითონ ეროვნული საბჭო.

**მუხლი 22.** განსაკუთრებულ შემთხვევაში ეროვნული საბჭო ბჭობს კანდიდატებთან ერთად.

**მუხლი 23.** საერთო ოსურ საკითხების გადასაჭრელად მოწვეულ უნდა იქმნას სრულიად ოსეთის სახალხო ყრილობა.

**მუხლი 24.** საგანგებო სესია ეროვნულ ყრილობისა მოწვეულ უნდა იქმნას ეროვნული საბჭოს მიერ და აგრეთვე 30 დეპუტატის განცხადების თანახმად.

**მუხლი 25.** ეროვნული საბჭო პასუხისმგებელია ყრილობის წინაშე.

**მუხლი 26.** ამ კონსტიტუციაში შეიძლება შეტანილ იქმნან შესწორებანი და დამატებანი ეროვნულ ყრილობის მიერ.

# ქუთაისის თეატრის გარშემო

## (წერილი რედაქ. მიმართ)

გასული წლის დეკემბერში ქუთაისის დასიდან გავიდა ერთი ჯგუფი მსახიობთა და ამ ამბავმა, ვინც საქმეში ჩახედული არ არის, ერთი აურზაური გამოიწვია თურმე. დაიბეჭდა ათასი ცრუ ხმები, ხოლო ადგილობრივ „ხალხის მეგობარში“ № 66 ვიღაც ნაცნობი გამომდგარა და მეტად ცალმხრივსა და არა საკადრისს წერილს ძღვნის ამ ამბავს.

საქმის ნამდვილი ვითარება კი აი როგორია. მხოლოდ ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ, რომ მკითხველ საზოგადოებამ უფრო ნათლად წარმოიდგინოს საქმის გარემოება:

შარშან მაისში ქ. თბილისს დაარსდა სრულიად საქართველოს მსახიობთა კავშირი. ამ კავშირში შევიდა დიდი უმრავლესობა ქართველ მსახიობთა და გარეთ დარჩა სულ მცირე პროცენტი. კავშირს ამ ჟამად მსახიობთაგან სულ 69 წევრი ჰყავს და გარდა ნ. ჩხეიძისა ყველა დამსახურებული და თვალსაჩინო ძალები კავშირის წევრებათ არიან შესულნი.

დაარსებისათანავე კავშირის საბჭომ გამოსცა ერთგვარი მოწოდება, სადაც ნათლად და მკაფიოდ იყო განცხადებული თუ რა საგანს ისახავს კავშირი, რა მოთხოვნილებებით გაოდის ცხოვრების ასპარეზზე და რა უფლებებიც სურს დაიცვას. სხვათა შორის იქ მოხსენებული იყო, რომ ვინც კი კავშირის საბჭოსთან ან მის წევრებთან დაიჭერდა საქმეს, კავშირის საანგარიშო უნდა ეხადნა ერთგვარი პროც. ეს მოწოდება დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთებში და მაშასადამე იცოდა ქუთაისის დრამ. საზოგ. გამგეობამაც.

ამის შემდეგ ქუთაისის დრ. საზ. გამგეობამ მოიწვია საზამთრო დასი, რომლის შემადგენლობაშიც მოხვდნენ როგორც არა წევრნი, ისე წევრნი კავშირისა. კავშირის საბჭომაც თანახმად მისი წესდებისა მოსთხოვა წევრებს დაეცვათ თავიანთი უფლებანი და პროც. გადაეხდევინებინათ ანტრეპრენიორ—ქუთ. დრ. საზ. გამგეობისათვის. აგრეთვე გამგეობაც გააფრთხილა ცალკე წერილით ნოემბრის 11-ს, 1917 წ. № 102, რომ უკეთუ გამგეობა არ მოისურვებდა პროცენტის გადახდას, დასში მოსამსახურე კავშირის წევრნი იძულებული იქმნებოდნენ სამსახურისათვის თავი დაენებებინათ.

